№ 262 დეკემბერი 9, კვირა 1890 დეკემბერი 9, კვირა № 262

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 40 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებს და თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტისშობის თთვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევსკის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირალოვის შენობის კუთხეში, ნემენცების ქუჩისა და ვიგუმინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ მეწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მივიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—1) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

კვირას, 9 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

კეთილი და ცუმანკო ანგელოზი

კომ. 3 მოქმ. გადმოკ. დავით ერისთავის მიერ.

II

ურინ-მარინის ქუდი

ვოდ. თხზულ. გიორგი ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. დიდებულიძისა, იოსელიანისა, მძინაროვისა და სხვ.; ბბ. აწყურელი, გამყრელიძე, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

ქართული თეატრი

კვირას, 9 დეკემბერს,

ბენეფისი

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

ქართველი დედა

ისტორ. დრამა 4 მოქ., ა. ცაგარლისა.

(სიუჟეტი აღებულია ს. არნოს დრამიდგან)

მოთამაშენი: ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელაშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ბილეთები არავის დაუგზავნება

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“ — ოთხ-მოქმედებიანი დრამა პ. უმიკაშვილისა და „ბორკილი“, ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. სუმბათაშვილისა.

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 13 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობისავე სადგურში დანიშნულია ვაჭრობა ქუჩების ქვით მოფენის საქმის იჯარით გასაცემად 1891 წელს. ვისაც უნდა ვაჭრობაში შევიდეს, პირობანი ჰნახოს ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

ტფილისის ქალაქის თავი ამით აუწყებს ბბ ნთ მესამე რიგის ამომრჩეველთ, რომ

1) 2 დეკემბრის კრების განგრძობა დაინიშნა საკვირაოდ, ამა 1890 წლის 9 დეკემბრისათვის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში, დილის 9 საათზედ. ამ კრებაზე კენჭი უნდა ეყაროს თოთხმეტს კაცს, ხმოსნებად ასარჩევთ, რადგან 2 დეკემბერს კანონით დაწესებული უმეტესობა კენჭისა იმ კანდიდატებში, რომელნიც კენჭს იყრიდნენ ხმოსნობისათვის 1891—1894 წლამდე, ამოუვიდა მხოლოდ ათს კაცს.

2) კენჭის ყრა დაიწყება სწორედ დილის 10 საათზედ. ამ დრომდე იქმნება რწმუნების ქაღალდების მიღებაც.

3) ვინც 2 დეკემბრის კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა, უნდა წარმოადგინოს თეატრის დარბაზში შესვლის თანავე წინადვე მიღებული და 25 ნოემბრის კრებაზე ბეჭედ-დაკრული წითელი ბილეთები, თუ ორი კენჭი აქვს, და—თეთრები თუ ერთის მეტი არა აქვს.

4) იმ ამომრჩეველთ მესამე რიგისათა, რომელნიც პირველად მოვლენ კრებაზედ, ამისთანა ბილეთები შეუძლიანთ მიიღონ დარბაზში შესვლისათანავე. (2—2)

ტფილისი, 8 დეკემბერი

გერმანიის ახალგაზდა იმპერატორმა ვილჰელმმა (სულ ოც და ათის წლისაა), მძლავრმა სულით და ჯანით, აღფრთოვანებულმა მამულის კეთილშობილურის სიყვარულით, ამ დღეებში ერთხელ კიდევ აალაპარაკა მთელი ევროპა. ამ საკვირველმა გვირგვინოსანმა მეფემ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა კომისიაში, რომელსაც მთავრობისგან აქვს დავალებული საშუალო სასწავლებლების პროგრამის შეცვლა. იმპერატორმა მეტად მკვახედ გაჰკიცხა ეხლანდელი საშუალო სასწავლებელი, დაიწუნა მეთოდი სწავლა-განათლებისა და გულის წყრომით უჩვენა, რომ თანამედროვე საშუალო სკოლა სამშობლოს მამულის შვილს ვერ უზრდისო, მომავალის თაობის ხასიათის განვითარებას ყურადღებას არ აქცევსო და დროს შეუფერებელის ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის მესწავლით მოზარდს თაობას ტვინს უთხელებს, ფიზიკურად ასუსტებს და მამულის სიყვარულით გამსჭვალულს მოქალაქეებს ვერა ზრდისო.

მე თითონ ჩემს თავზე გამოვცადეო, სთქვა იმპერატორმა, ამ სისტემის ყოვლად უვარგისობა და დედაჩემს რომ რიგიანად არ მოეწყო ჩემი სასწავლო ოთახი კასალის გიმნაზიაში, ან თვალთა მხედველობას დავკარგავდი, ან ქვეყნიერებისას ვეღარას გავიგებდიო. ამ უკანასკნელს ოცს წელიწადში გერმანიის ბედს განაგებდნენ ფილოლოგები, გერმანიის შვილთ ბერძნებისა და ლათინების ცხოვრება უფრო უკეთ იცოდნენ, სანამ თავისი, ამისათვის საჭიროაო, დაუმატა იმპერატორმა, რომ მომავალში საშუალო სასწავლებლებში სწავლა-განათლებას საფუძვლად დაედოს სამშობლო ისტორია, გეოგრაფია და ყმაწვილებს განუვითარდეთ ეროვნული გრძნობაო. ერთის სიტყვით, ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოვო. ჯერ რიგიანად ჩვენი თავისა შევიგნოთ რამეო და მერმე სხვასაც მივხედოთო.

ვილჰელმის სიტყვამ, ელექტრონის ნაკადულივით, ერთს წამს მთელი ევროპა შემოირბინა. ბევრს გაუოცდა, გაუკვირდა, რომ მეფე, გვირგვინოსანი იმპერატორი ძლიერის სახელმწიფოსი, ჩაერია, როგორც უბრალო დელეგატი, კომისიის წვრილმანს საქმეში და თავისი აზრი წაუმძღვარა კომისიას სახელმძღვანელოდ.

იმპერატორს წინადვე სცოდნია, რომ მისი ჩარევა კომისიის საქმეში ბევრს გააოცებდა და გააკვირვებდა და ამისთვისაც კრებას უთხრა, მე როგორც მამა სახელმწიფოსი, ზნეობრივ მოვალედა ვსთვლი ჩემს თავს, მივიღო მხურვალე მონაწილეობა მოზარდ თაობის აღზრდაში და ყურადღება მივაქციო მშობლების ჩივილს და საყვედურს, რომ ეხლანდელი გიმნაზია თავისს მოვალეობას ვერ ასრულებსო.

ესეც რომ არ იყოს, განა ახალგაზდობის აღზრდა, ხასიათის შე-

# ფელეტონი

## საზარელი ადამიანი

მოთხრობა

(დასასრული*)

ერთის წლის შემდეგ მანჩულაძის ცოლი დედა შეიქმნა; ჟულიეტას საშინლად უყვარდა და აღმერთებდა თავისს შვილს; ქმარიც გაგიჟებით უყვარდა, ისე უცნაურად და გიჟურად რომ... რომ ატყუებდა. მე ამ გარემოებას ვაღიარებ და ვისაც სურდეს, იმან მიზეზები მოუძებნოსო.

ახალს ალაგას გადმოსახლებულნი ცოლ-ქმარნი იძულებულნი იყვნენ მალე გამოეცვალათ ხოლმე ბინა, რადგან იმათ სახლში თითქმის მუდამ წიოკობა იყო და... საწყალ მდგმურებს მოსვენება აღარა ჰქონდათ ჟულიეტას წივილ-კივილისაგან.. ავეჯის ერთი-ერთმანეთზედ მიხლით გაბრიელის სახლის კარების ჩარჩოები ხშირად ზანზარებდა და შიდა ოთახიდგანაც მოისმოდა ხოლმე საშინელი: „მკლავენ, მკლავენო“... ვნახოთ მეორე დღეს გაბრიელი და ჟულიეტა სრულიად მორაკრაკებულის და მოცინარის სახით ჩამოდიოდნენ კიბეზედ, ვითომ-და ჩვენს შორის არაფერი ამბავი არა მომხდარა-რაო; გაოცებული და პირდაღებული მეზობლები არა ნაკლებ გაკვირვებულის თვალით აცილებდნენ თავ-დაჭერილს ცოლ-ქმარს. ძირს ტროტუარზედ გაბრიელი და ჟულიეტა ჰშორდებოდნენ ერთმანეთს და მიეშურებოდნენ თავ-თავიანთ ქარხნებისაკენ. ბევრს ითმენდა გაბრიელი! თითქო რაღასაც აპირებდა, მაგრამ ნაღვლიანმა ფიქრებმა, ხან იმედებმა, ხან სასოწარკვეთილებამ სრულიად გაება მახეში... ერთხელ, დილის ათს საათზედ, მხოლოდ მარტოდ-მარტო ჟულიეტა ჩამოვიდა სახლიდგან და გაეშურა სამუშაოსკენ, გაბრაელმა-კი ამღვრეულის თვალებით, თითქოს საპნის წყალი ჩასდგომოდესო, გამშრალის ტუჩებით და კანკალით ჩაიარა მზის გულიანს გალათის ქუჩაზედ. ერთმა ამხანაგმა, დაინახა თუ არა ციებისაგან შებურებული გაბრიელი, ჰკითხა: რა დაგემართა გაბრიელ? გაბრიელმა მოულოდნელის სიჩქარით წაატანა ხელი გულისაკენ და სთქვა: აქ ცეცხლი მეკიდია!

— ზომიერებაა შენთვის საჭირო, ზომიერება... შენ ძალიან გიყვარს ჟულიეტა. ამ სიტყვაზედ ამხანაგმა ჩაიცინა და ისე მოშორდა, მხოლოდ გაბრიელმა რამდენჯერმე შეიშმუშნა მხრები და სახეზედაც შეეტყო, რომ განუსაზღვრელად იტანჯებოდა. ერთის, ორის და ათის დღის განმავლობაში გაბრიელი ყოველ დილით ჩამოდიოდა ზემო აღნიშნულს ადგილას წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავად. მეთერთმეტე დღეს გაბრიელმა ვეღარ შესძლო ოთახიდგან გამოსვლა. მეორე დღეს, დილის ათს საათზედ მოწვეულმა მკურნალმა გადასწყვიტა, რომ ავადმყოფის მორჩენა შეუძლებელიაო: „გაბრიელი ამ ღამეს ვერ გაათენებსო“. ჟულიეტა ძალიან გვიან დაბრუნდა; მთელი ღამე ოთახში სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ დილით ადრე ჟულიეტა გამოვარდა და დაუწყო მეზობლების კარებს ჩაკუნი, შემდეგში ყვირილ-ტირილიც მოისმა:

— ჩემი გაბრიელი გარდაიცვალა.. საწყალი ჩემა გაბრიელ... უიმისოდ რა მოგველის დაობლებულებს... ჩემი პატარა ქალი. . მოწყალეო ღმერთო!..

ჟულიეტა მიცვალებულის გვამს აღარა შორდებოდა და მთელი დღე და ღამე დაჩოქილი დასცქეროდა „თავისს საწყალს და საყვარელს გაბრიელს“. უჰ! რა ძალიან სწყინდა ჟულიეტას, თუ ვინმე გაუბედავდა და ანუგეშებდა: გეყოფა, ნუ იკლავ თავს, მოშორდიო. წყენას ვინა ჩივის, ბევრჯერ ხელსა ჰკრავდა და ისე იშორებდა ამ გვარ ნუგეშინის მცემლებს.

მიცვალებული დამარხეს. რვა დღის შემდეგ ზოგიერთი ბოროტნი კაცნი ამტკიცებდნენ და მოწმედ თვისი შორს მხედველი თვალები მოჰყავდათ, რომ ვითომ ჟულიეტა ენახათ დიდ ხეივნების ბოლოში ერთ ჯეელთან ხელიხელს გაყრილი, თან იმ ჯეელს ფაბროს ამსგავსებდნენ.

**

საშინელებაა ბოროტი ენა... ჟულიეტას მეზობლები ერთს ბრალს სდებდნენ; ამ ბრალმდებამ იმდენი იტრიალა, იმდენი იტრიალა, რომ მთავრობა აიძულა გაეჭრევინებინათ გვამი მიცვალებულისა და ბოლოს ჟულიეტას სახლიც გაეჩხრიკათ. გვამის გაჭრას-კი არა მოჰყვა-რა და სახლის გაჩხრეკის ამბავი-კი ასე იყო:

როდესაც პოლიციის აგენტები და მკურნალი შევიდნენ ოთახში, ჟულიეტას ფერი დაეკარგა, ლონემ უმტყუნა და კედელს რომ არ მიჰყუდებოდა, უთუოდ იატაკზედ დაეცემოდა; უცებ თავი შეიმაგრა, აკოცა და აიყვანა ხელში პატარა ქალი და შემდეგ მიჰმართა სტუმრებს:

— აასრულეთ თქვენი მოვალეობა, ბატონებო... უბედური გაბრიელი, რომლის ნათელი სული ღმერთთან იმყოფება, აპატიებს ჩემს მტრებს... პოლიციელები მაშინვე მისცვივდნენ კამოდებს და ავეჯს და ყველაფერი გასჩხრიკეს. ამაოდ მიდიოდა დრო; მკურნალმა პოლიციელებს დაუბარა, მეორედ კიდევ გასინჯეთ კამოდებ-განჯინებიო და თვითონ-კი სამკურნალოში გაეშურა. ის იყო მეც შევედი ჟულიეტასთან, რადგან ძალიან მენანებოდა საწყალი გაბრიელი, და მინდოდა შემეტყო ნამდვილი მიზეზი იმის სიკვდილისა. ბავშვს ხომ ბაძი და წახდენულება ძლიერ უყვარს. სწორედ ამ თვისების გამო ჟულიეტას პატარა თამრომ დაიწყო ყუთიდგან ამოღებულ წვრილმან ნივთების ჩხრეკა და ძებნა რიღასიცა. ძებნამა და ჩხრეკამვე მოჰგვარა ერთგული პოლიციელები და ის იყო მიდიოდნენ, როდესაც დედამ უცებ შეჰკივლა და მივარდა ბავშვს. აგენტები შემობრუნდნენ; შიშისაგან დედას თითქმის სული შეუგუბდა, თვალები უაზროდ აქეთ-იქით ურბოდა და რამდენისამე წუთით პასუხის მიცემის ძალაც დაჰკარგა; აგენტები მიუახლოვდნენ... მაშინ გონზე მოსულმა ჟულიეტამ მოახერხა ბოდიშის მოსახდელად გაღიმება და აჩვენა პოლიციელებს გახსნილი სამართებელი, რომელიც იქავე პატარა ქალის გვერდ-

*) იხ. „ივერიის“ № 261.

მუშავება და გონებრივი განვითარება მცირე და პატარა საქმეა? განა სწავლა-განათლებაზე არ არის დამოკიდებული თვით სახელმწიფოს და ერის მედნიერი, თუ ბუნდოვანი მომავალი? ვგონებ ამას დიდი გამოცანა არ უნდა და ამისთვისაც ერთი ასად ღირსია მომეტებულის სიყვარულისა და პატივის ცემისა ახალგაზდა გერმანიის იმპერატორი, რომელიც ასეთის თანაგრძნობით და მხურვალებით ეკიდება ამ დიდ-მნიშვნელობიანს საქმეს. გერმანიაში ისე მკვიდრად გაიდგა ფესვები ლათინურმა და ბერძნულმა, რომ სწორედ მძლავრის გვირგვინოსანის მეფის ჩარევა იყო საჭირო საქმეში, რომ კლასიციზმისთვის ძირი გამოეთხარათ, შესამჩნევად ფრთები შეეკვეცათ.

ნიკლებ არა ბატონობს ჩვენს გიმნაზიებშიაც ლათინური და ბერძნული. ამისათვის საერო განათლების სამინისტრომ დააწესა კომისია თ. ვოლკონსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაავალა განეხილა გიმნაზიის პროგრამა და რაიმე ცვლილება შემოეღო. თ. ვოლკონსკის კომისიამ საჭიროდ დაინახა შეემცირებინა ძველი ენების გაკვეთილები და უარ-ჰყო ესრედ წოდებული ექსტემპორალიების უებარი სარგებლობა. ჩვენ თავისს დროზე გამოვსთქვით აზრი, რომ ასეთი შემცირება გაკვეთილებისა დიდს სარგებლობას ვერ მოუტანს მოზარდს თაობას, თუ მასთანავე არ შეიცვალა მეთოდი ძველის ენების სწავლისა, რომ მარტო ექსტემპროლიას უარყოფა გასათავებელს ეგზამენებზე ბევრი არაფერია, თუ-კი გრამატიკული წესი შესწავლისა ისევ ძველი და ხელუხლებელი დარჩება.

აქამდისინ არაფერი ვიცოდით, რა პრაქტიკული შედეგი მოჰყვა ბ-ნ საერო მინისტრის განკარგულებას ლათინურისა და ბერძნულის გაკვეთილების შემცირების შესახებ. დღეს შეგვიძლიან ვაუწყოთ მკითხველს, რომ ზემოდ დასახელებულ მინისტრის განკარგულებას ცოტაოდენი ცვლილება მოუხდენია. ლ. ლ. მარკოვმა, ტფილისის პირველის გიმნაზიის დირექტორმა, წლიურს აქტზე საჯაროდ გამოაცხადა, რომ აქამდისინ უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული გრამატიკულ მასალის შესწავლაზედ, და რაც უფრო ძვირფასია კლასიკურს სისტემაში, ე. ი. ძველთა მწერალთა თხზულებანი, უყურადღებოდ იყო დატოვებული. პატივცემულმა დირექტორმა არ დაასრულა თავისი აზრი, დღეის შემდეგ მიექცევა თუ არა ჯეროვანი ყურადღება ძველთა მწერალთა შესწავლას, მაგრამ იმის სიტყვებიდამ ცხადად სჩანს, რომ ეს ასე უნდა მოხდეს.

ყოველისავე ზემოხსენებულიდამ სჩანს, რომ კლასიკურს განათლებას ეხლა ისე უცქერიან, როგორც უვარგისს და დღეს იქნება, თუ ხვალა, შეიძლება, სრულიადაც უარ-ჰყონ მთელს ევროპაში, რასაკვირველია, რომაელების ტომის ერთა გარდა. კიძოდ, ჩვენ ქართველებისთვის ხომ კლასიკური სისტემა ყოვლად შეუფერებელია და ერთი ასად უძნელებს ქართველს ბავშვს სწავლის შეძენას. ნორჩმა ყმაწვილმა, რომელსაც ჯერ რიგიანად ვერ შეუთვისებია რუსული ენა, რომ ამ ენის შემწეობით ისწავლოს საგნები, როგორ უნდა დასძლიოს ორი ძველი ენა კიდევ? უეჭველია მოსწავლეს იქვე სიყმაწვილეში გამოელევა ძალ-ღონე, მოიფიქრება და იძულებული იქნება ან დაანებოს სასწავლებელს თავი, ან, თუ რის ვაი-ვაგლახით დაამთავრებს სწავლას, თუთიყუშსავით გამოჩერჩეტებული და გამოთაყვანებული უნდა გამოვიდეს.

რომ მარტო რუსული ენა, ულათინურ-ბერძნულოდაც, დიდს შრომას და ჯაფას ითხოვს ყმაწვილისაგან, ამას ბ-ნ მარკოვისავე სიტყვები ამტკიცებს. გიმნაზიაში ქართველების რიცხვი თან-და-თან კლებულობს და სომხებისა-კი მატულობს. ქართველები წინად ყოფილან 135 კაცი, წელს-კი მათი რიცხვი ჩამოხდენილა 128-ზე. სომხები ყოფილან 159 კაცი და წელს-კი 170 კლებულობს თურმე აგრეთვე რუსების რიცხვი. ბ-ნ მარკოვის სიტყვით, ეს გარემოება საკონკურსო ეგზამენების ბრალია. მომეტებული ნაწილი რუსის შეგირდებისა ღარიბ მოხელეების შვილები არიან, ქართველებიც ხომ სიმდიდრეს ვერ დაიკვეხებენ და მაშასადამე სიღარიბე, ხელ-მოკლეობა უშლით, რომ რიგიანად მოემზადნენ საკონკურსო ეგზამენებისთვისაო. სომხები-კი, როგორც ქალაქის მცხოვრებნი და უფრო შეძლებულინი, კარგად ამზადებენ შვილებს და ამიტომაც ისინი იმარჯვებენ კონკურსის ეგზამენზედაო.

ბ-ნ მარკოვის სამართლიანს სიტყვებს საჭიროა, ცოტაოდენი რამე კიდევ მოემატოს. სიღარიბე ხომ სიღარიბეა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სოფელში აღზრდილ ქართველის ბავშვისთვის მეტად ძნელია ათ წლამდის რიგიანად შეითვისოს რუსული ენა, თუნდა იგი ძვირფას პანსიონშიც მიაბარონ. ამისათვის ეს გარემოება ყოველთვის ხელს შეუშლის ქართველებს სწავლის საქმეში და რომ ეს არ მოხდეს და სახელმწიფოს არ მოაკლდეს საფუძვლიანად სწავლა დამთავრებული მოქალაქენი, საჭიროა სრულიად გაუქმდეს ქართველებისათვის კონკურსის ეგზამენები და დაარსდეს გიმნაზიებთან იმისთანა მოსამზადებელი კლასები, რომელშიაც ქართველებს მიიღებდნენ ურუსულოდ.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ გოლოლობოვი, რომელმაც სურამში მძიმედ დასჭრა ბ-ნი გორსკი, პირველად წაიყვანეს ციხიდგან კავკასიის სამხედრო სასამართლოში გამომძიებელთან.

⁂ ამ დღეებში ტფილისის იარმუკაზე, ერთის ძველებურის ოჯახიდამ რამდენიმე ძველი წიგნი გაუტანიათ და დაუყიდნიათ. მათ შორის რამდენიმე ხელთ-ნაწერი ზ. ჭიჭინაძეს უყიდნია. ამათში საყურადღებო არის: დიდი ხელთ-ნაწერი წიგნი „მეოჯახეობა“ ანუ „ეკონომია“, პირველში ფრანგულად დაწერილი ბ-ნ ეილორიონის მიერ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. რუსულად ეს წიგნი უთარგმნიათ პეტრე დიდის დროს, ქართულად გადმოუთარგმნია, მეფის ბაქარის ბრძანებით, სვიმეონ მაკაციძეს, გადაწერილია 1772 წ. მოსკოვს, ალავერდელის მიტროპოლიტის თხოვნით შალვაეოვისაგან. ანტონ კათალიკოზის ვრცელი გრამატიკა, ორბელიანის ლექსიკონი და უფრო მეტად საინტერესო წიგნი: „მოგზაურობა“ ტფილისიდამ ინდოეთამდის ქართველის აზნაურის რაფაელ დანიბეგოვისა. ეს კაცი 1795 წელს მეფე ერეკლესაგან ინდოეთში ყოფილა გაგზავნილი იქ მცხოვრებ მდიდარ სომეხ შამირასთან, რომლის შესახებ რამდენიმე ცნობა ამას წინადაც გვქონდა დაბეჭდილი. საქართველოს რუსეთთან შეერთებას შემდეგ ეს მოგზაურობა ქართულიდამ რუსულად უთარგმნიათ და 1813 წ. მოსკოვს დაუბეჭდიათ.

⁂ სიღნაღის სომეხთა მოძღვარს ტერ-ილიშე ტერ-ასტვაცატურიანს სომხურიდამ ქართულად სომეხთა მწერლის რაფის ერთი მოთხრობა უთარგმნია და ცალკე წიგნად იბეჭდება. მთარგმნელს აზრად აქვს, რამდენიმე მოთხრობა სთარგმნოს იმავე მწერლისა და ცალკე წიგნებად ჰბეჭდოს.

⁂ მღვიმნოვისა და ახპატელოვის კალენდრები უკვე დაიბეჭდა. ახპატელოვის კალენდარი კახეთში მოუფენიათ კიდეც, ტფილისშიაც იყიდება და ახლა ქართლში წაუღიათ, რომ მერე ქართლიდამ იმერეთშიაც გაავრცელონ.

⁂ 5 დეკემბერს სასულიერო სემინარიასთან დაარსებული სამაგალითო სამრევლო სკოლა დაათვალიერა მათმა ბრწყინვალებამ დივიზიის უფროსმა თ. ნ. ამილახვარმა. სკოლის შეგირდებმა, რაც-კი ჰკითხა თავადმა, ყველაფრის პასუხი რიგიანად მისცეს. შემდეგ სთქვეს ქართული სხვა-და-სხვა საეკკლესიო და საერო სიმღერა-საგალობლები, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პატივცემულის სტუმრისა. მათმა ბრწყინვალებამ შეგირდებს 10 მან. აჩუქა

⁂ დღეს მოგვივიდა კიდევ 6 მან. და 10 კაპ. განსვენებულ იოსებ დავითაშვილის ძეგლის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 110 მან. ამიანად იქნება 116 მან. 10 კაპ. აქვე ვბეჭდავთ ამ ახალ შემომწირველთა სიასაც: არტემ სეფერთელაძემ შემოიტანა 30 კაპ., დიმიტრი თალაკვაძემ—20 კაპ., მარტიჩ სტეფანეს ძემ გარსოევმა—1 მან., ბალდასარ სერგოს ძემ ელიაზაროვმა—1 მან., დავით ისაიას ძემ არაქელოვმა—50 კაპ., დათა კარტოზიამ—20 კაპ., აგია თენიაშვილმა—50 კაპ., მელიქ ლომინაძემ—20 კაპ., ალექსანდრე პავლეს ძემ არდაზიანმა—1 მან., ივანე მაისურაძემ 1 მან. და სამსონ ნიკოლეიშვილმა—20 კაპ., სულ 6 მან. 10 კაპ.

⁂ ტფილისის კლუბის ანუ „საბრანიის“ წევრთა კრებაზე გადაწყდა ამ დღეებში, რომ დამდეგ იანვრიდამ საბრანია გადატანილ იქმნას დღევანდელის სადგურიდამ, რომელიც გოლოვინისპროსპექტზეა, იმ სახლში, რომელშიაც წინად იყო ტფილისის კრუჟოკი და რომელიც არშაკუნის ეკუთვნოდა. იმ სახლის გამგებელს ანუ აპეკუნს, სადაც დღეს კლუბია, მოუმატებია კლუბისათვის ასი თუმანი ქირა წელიწადში და 9000 მან. მაგიერ 10,000 მან. უთხოვნია. კლუბს ეს ფული ეძვირა და 181 ერთის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 30 გადაუწყვეტია არშაკუნის სახლის დაქირავება სამის წლის ვადით წელიწადში სამას თუმნად. კრებას გადუწყვე-

---

ზედ იდვა: ჩემი ქალი ამ საშიშარ სამართებელს ეთამაშებოდა... ოჰ, ღმერთო რა ნაირად შემეშინდა.

პოლიციელებმა ერთმანეთს შეჰხედეს, თითქო ამის თქმა უნდოდათო: ტყუილია ყველაფერი, არც გაჰრამ მკვდრისამ და არც ამ გაჩხრეკამ სახლისამ არაფერი არა გამოაშკარავაო“. ეს უდარდელი ქალის შეკივლების მიზეზს შორს არ გამოეკიდნენ და დაკმაყოფილდნენ თვით ჟულიეტას ნალაპარაკევით; რამდენსამე წუთს შემდეგ პოლიციელები წავიდნენ ჟულიეტას სახლიდამ.

ბავშვს ტუჩებზედ შეყრილი ჰქონდა თეთრი ფქვილი; თეთრად მოთხუპნული თითები პირისაკენ მიჰქონდა. მაშინვე წამოვხტი და გავექანე ბავშვისკენ. შეკრთომილმა და აკანკალებულმა ჟულიეტამ უკან დაიწია.

— ჟულიეტა, მომეც ეგ პატარა დაკეცილი ქაღალდები, რომელიც ხელში გიჭირავს.

— ეს პაწაწა ქაღალდები?.. რად გინდათ, შიგ არაფითარი საწამლავი არ არის.

— მომეცით-მეთქი, გიმეორებთ.

— ღმერთს გეფიცებით, ის არ არის.

— გაუწმინდეთ პირი საწყალ გაბრიელის ქალს და ჩამოჰბანეთ პირი და ხელები; ჟულიეტამ მაშინათვე შეასრულა ჩემი ბძანება და მერე ჩემს ფერხთ წინაშე დაეცა და საშინელის ხმით შემომბღაველა:

— ოჰ! შემიბრალეთ, გაბრიელის სულისათვის! ნუ ჩამომარჩობინებთ! მე გავშინჯე ფქვილი და ფიქრმა წამიღო. ბავშვის ბედმა დამალონა. როცა მოვდიოდი, ვუთხარ ჟულიეტას:

— ეგ საცოდავი მაინც აღზარდე; თუ გაპატიებ, მხოლოდ მაგ ბავშვის გულისათვის. მაინც და მაინც თქვენი ტანჯვა საშინელი და დაუსრულებელი იქნება: ყოველთვის როდესაც მნახავ, ცოდე მუდამ დღე მნახავ, მოგაგონდება შენი საზარელი საქმე და მომაკვდინებელი ცოდვა „საზარელო ადამიანო“ და ეს უფრო დიდი სასჯელი იქნება შენთვის.

თ. გ. ნ. ვეზირიშვილი

სოფ. ოსიაური

## კეთილი კაცი

(ხალხური ზღაპარი, ნატო იოსების ასულის გოგალაძის ნათქვამი, სამსონ ლონლაძისაგან დაწერილი ს. ტეზერში 1886 წ.)

იყო ერთი ცოლი და ქმარი. ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი და იყვნენ ფრიად მდიდრები. შვილი სასწავლებელში გაზარდეს, რომელიც პატიოსანი კაცი და მეცნიერი გამოვიდა. სწავლული კაცი სამსახურში არსად შედიოდა. მუდამ დღე აქეთ-იქით დაიარებოდა, ლოთობდა, ქეიფობდა და დროს ატარებდა. უთავ-ბოლო ამისმა ქეიფმა და დროს გატარებამ მდიდარი დედ მამა ძალზედ გაღარიბ-გაალატაკა. დადგა დიდი შიმშილი. ამ დროს ყმაწვილის დედ-მამასა ცხრა მანეთი ჰქონდათ მარტო. ამოიღო დედამ ჯიბიდგან სამი მანეთი, მისცა შვილს და უთხრა: აი შვილო, სამი მანეთი, წადი სადმე, იყიდე ცოტაოდენი პური და მოიტანე სახლშიო. გამოართვა შვილმა სამი მანეთი დედასა და წავიდა.

სწავლული კაცი ბევრის სიარულის შემდეგ მივიდა ერთს ქვეყანაში, სადაც ხალხს მოეყარა თავი და ერთს თეთრს კატას დარჩობას უპირებდა. ყმაწვილმა თვალ-ცრემლიანი კატა რომ დაინახა, ძლიერ შეეცოდა, ამისათვის მისვლისვე უმალ ხვეწნით მიმართა კატის მარჩობელა ხალხს და უთხრა: ხალხო, რა დაგიშავათ მაგ უენმელმა კატამ, ნუ დაარჩობთ, მე მაჩუქეთ და სამს მანეთს მოგცემთო. თავ-მოყრილმა ხალხმა ყმაწვილს დაუჯერა, გამოართვეს სამი მანეთი და მისცეს კატა. წამოიყვანა ყმაწვილმა ნაყიდი კატა და მოიყვანა თავის დედმამის სახლში. ყმაწვილმა რომ ჰირნახულის მაგივრად კატა მიიყვანა სახლში, დედმამას ამისას ეწყინა, მაგრამ რაღას იქმოდნენ. მისცეს მეორედ სამი მანეთი შვილსა და გაგზავნეს ხელ-ახლად სარჩოს სასყიდლად.

ენახოთ, ბევრი იარა, თუ ცოტა, ყმაწვილი შევიდა ერთს ქალაქში სადაც ურიებს დაეჭირათ ერთი დიდი შავი კოფაკი ძაღლი და ხეზე ჩამორჩობას უპირებდნენ საწყალსა. ყმაწვილმა შორი ახლოდგან დაინახა საცოდავის ხმით მოწკავწკავე ძაღლი, შეეცოდა და ხმა-მაღლა დაუძახა ურიეებს: ურიებო, ურიებო, მომითმინეთ, მომიცადეთ, მაგ ძაღლს ნუ დაარჩობთ და სამს მანეთს გაჩუქებთო. ურიებს გაეხარდათ და ამ ძაღლის გარდა, ორი ძაღლიც კიდევ სხვა აჩუქეს ყმაწვილს კაცს, რომელიც დაბრუნდა სახლში და მოიყვანა სამი კარგი მჰამელი ძაღლი. ამ ამბავმა გააგულისა ცოლი და ქმარი, ამ ყმაწვილის დედ-მამა, რომლებმაც ამოიღეს უკანასკნელი სამი მანეთი და უთხრეს: აი შვილო, ამ სამის მანეთის მეტი ჩვენ ერთი გროშიც აღარ გვაბადია, თუ ამითი პურს არ იყიდი და არ მოიტან, სიმშილით მოვკვდებით და ეგ შენი კატა-ძაღლებიც უჭმელობით დაიხოცებიანო. შვილმა ბოლოში მოითხოვა დედ-მამის წინაშე, გამოართვა სამი მანეთი და გაუდგა გამაღლებული გზასა...

გზაში ყმაწვილმა ერთი დიდი უზედური ტყე ნახა, სადაც გლეხებს ხეები, ჩირგვები მოეკაფათ და ახო გაეკეთებინათ. ერთს ადგილს მოჭრილის ფიჩხით დიდი ხერგი გაეკეთებინათ, ხერგში დიდი ვეებერთელა მცურავი მოემწყვდიათ და დაწვას უპირებდნენ, რომ კეთილს ყმაწვილს სამი მანეთით საცოდავად მწევიანა გველი არ დაეხსნა სიკვდილისაგან. ყმაწვილი უფულოთა და უპირნახულოთ დედ-მამის ხათრითა და შიშით სახლში აღარ ბრუნდებოდა. მანამდინ ყმაწვილი ტყეს მოშორდებოდა, გველი მიცურდა თავის სოროში, სადაც დედა ჰყავდა და უთხრა ყველაფერი. დედამ მისცა ნატვრის თვალი შვილსა და უთხრა, აი შვილო ნატვრის თვალი, გაცურდი მალე, მოეწიე შენს დამხსნელს კაცსა და ეს ჩემს მაგიერად აჩუქე და უთხარი კიდევაც ამ თვალის მნიშვნელობაო.

სიკვდილს გადარჩენილი გველი მართლაც მოეწია ყმაწვილსა და მისცა დედისგან გატანებული მშვენიერი ნატვრის თვალი...

მშიერ-მწყურვალი ყმაწვილი სახლის გზას გაუდგა. სახლში რომ მივიდა, დედ-მამა წაეჩხუბა და კინა-

ტია აგრეთვე სთხოვოს პირობით ძმ. რეიტერებს ავგონ კლუბისთვის შენობა თავიანთ მამულში გოლოვინის პროსპექტზედ იმ სახლის გვერდზედ, სადაც სასტუმრო „Россія“-ა.

*** სიღნაღი: 6 ამ თვისას სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში გამართეს რუსულ-ქართული „ლიტერატურული დილა.“ თვით დარბაზი მშვენიერად იყო მორთული სხვა-და-სხვა სურათებით. პატარა სცენა კოხტად მოწყობილი ამშვენებდა მთელს დარბაზს. ხალხი საკმაოდ დაესწრო. დილამ მშვენიერად ჩაიარა. იგალობეს სხვა-და-სხვა სიმღერები. წაიკითხეს სცენები ჩვენის ცხოვრების შესახები და „ნაკვესები“ ქართულს ენაზე. ნაკვესები მეტად მოეწონა საზოგადოებას. დასასრულ ამ სკოლის მასწავლებელი ბ-ნი მესტიაშვილი მდაბიურის ენით ესაუბრა მოწაფეებს ჰაერის შესახებ. ხალხი მეტად ნასიამოვნი დაიშალა 12 საათზე. ყველა დიდად სწუხდა, რომ ამისთანა გასართობი იშვიათია ჩვენს ისეც მიყრუებულს ქალაქშიო.

*** სოფ. ბოჟვი (ბორჩალოს მაზრა): ისე უყურადღებოდ საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის დატოვებული, როგორც სამხრეთის (სომხეთის) ნაწილიო. მთელს ამ სამხრეთის მხარეს სოფლებში სულ ორს ალაგას არ არის სასოფლო სკოლები. ახლა, როცა სამრევლო სკოლების დაარსება დაიწყეს ყველგან, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენის მხრის სოფლები სამრევლო სკოლების დამართვას მაინც ეღირსებიან. წრეულს აქეთ პურის მოსავალი მცირე იყო და ღვინის მოსავალს-კი არა უშავდა-რა, ნამეტნავად ალგეთის ხეობაზე.

*** ნიგოითი: ამას წინად აქ განიზრახეს გამართვა ქართულის წარმოდგენისა, პიესაც ამოარჩიეს და მის დასწავლასაც შეუდგნენ. შემოსავალი უნდა ორ-ნაწილად გაყოფილიყო: ერთი ნაწილი მოეხმარებოდა აქაურს სკოლას და მეორე მიემატებოდა განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის ფონდს. ეს კეთილი საქმე დააბრკოლა იმ გარემოებამ, რომ სკოლის მასწავლებელმა თავის სკოლის სადგური არ ათხოვა წარმოდგენის გასამართავად ამ საქმის მეთაურთ. სხვა ბინა კიდევ ვერ იშოვეს და საქმე ჩაიშალა.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ი ამბობს, რომ ტფილისში ხმა გავრცელდა, ვითომ ტფილისის საქალაქო გამგეობა ცდილობს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და გააუქმებინოს არჩევანები მესამე რიგის ხმოსნათაო. ეხლა ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეს ხმა სრულიად უსაფუძვლოა.

*** „Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა კავკასიაში არ გამართოს არავითარი ნავთის გამყვანი მილი სახელმწიფოს ხარჯითაო.

*** რუსეთის გაზეთებს გაუგონიათ, რომ ვითომ დამდეგ ახალ-წლიდამ ყველა ნავთოსანი მიწები კავკასიისა და საზოგადოდ რუსეთისა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში უნდა გადავიდესო.

*** გაზ. „Кавказъ“-სა სწერენ ბათუმიდამ, რომ აქ დაარსდა კამპანია; რომელსაც აზრად აქვს მაიკოპის მაზრაში აღმოჩენილის ნავთის წარმოება დაიწყოსო. ეს ნავთი ტუაფსედამ ახლოა, სულ 70 ვერსი იქნებაო. კამპანიას უნდა, თუ ნავთი კარგია, მილი გაიყვანოს შავ-ზღვამდე და მით შეამციროს ხარჯი ნავთის გადატანისა. ამ სახით ეს კამპანია დიდად შეუშლის ხელს ბაქოს ნავთის წარმოებას. ნავთი არის აგრეთვე ბათუმს ახლოს, ოზურგეთის მაზრაშიც, თავ. გურიელების მამულში. ინგლისელმა ფულიანმა კაცებმა კიდეც დაიწყეს იქ მუშაობა ამ ორი-სამის წლის წინად, მაგრამ, რადგან მამული გურიელებს გაუყოფელი ჰქონდათ, ისევ თავი დაანებეს ამ დღეებში, როგორც ისმის ხელ-ახლად დაუწყიათ იმ ინგლისელებს მუშაობა და 300,000 მან. გადაუდვიათ მარტო მოსამზადებელ მუშაობისათვის.

*** ამ თვის 6 სამსახურს გარეშე მყოფმა მწერალმა პავლე ანტიპინმა, რომელიც კალიუჩის ბალკაში სცხოვრობს, გამოაცხადა, რომ 4 ამ თვისას ვიღამაც ჩემის სადგურის ეზოში ხუთის დღის დაბადებული ბავშვი შემომაგდოო. ბავშვი თითონვე აიყვანა ასაზრდელად.

—

შეცდომის გასწორება: გუშინ შეცდომით იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს პეტერბურგის ბირჟაში, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელში 214½ მან. იძლევიანო, უნდა იყოს სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელში და არა ტფილისისაში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით განვუცხადო ჩემი გულითადი მადლობა ყველა იმათ, ვინც პატივი მცა და განსვენებულის ჩემის მეუღლის, კნ. ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო სამძიმარი განმიცხადა.

თ. ანტონ ლორთქიფანიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Русская Старина“-ში კვლავ იბეჭდება მეტად საყურადღებო ნიკიტინის დღიური, რომლიდგანაც არა ერთი და ორი ადგილი გვქონდა ჩვენს გაზეთში მოყვანილი. ამ ახალს წერილში, სხვათა შორის ერთი საინტერესო ადგილია მოყვანილი. 1860 წ. ნიკიტინი საზღვარ გარედ იყო თურმე, დაბრუნებისას ვარშავაზედ გამოიარა და აქ ს—ვითან მოუხდა ცენზურის შესახებ ლაპარაკი.

„Русское Слово“-ში დაბეჭდილი იყო გოგოლის თაობაზედ წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ისიც არის ნათქვამი, რომ გოგოლს პატივს სცემდა საზოგადოება მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე მან „გუნდრუკის კმევა არ დაუწყო მეფესა ზეციერსა და მეფესა ქვეყნიერსაო“. ამბობენ, ხელმწიფემ ამის გამო მინისტრი დაიბარა და უთხრა:

— მე ყურადღებასაც არ გაქცევ, დეე რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ყველას საყვარელი ვერ იქნება ადამიანი, ერთს ვეყვარები, მეორეს—არა. ქვეყნიური მეფე შეიძლება ბევრს შეცდომასა სჩადიოდეს, მაგრამ ზეციერ მეფის გარე მოხსენება-კი არ შეიძლებაო.

აი ამის შესახებ რასა სწერს იგივე ნიკიტინი თავისს დღიურში რამდენსამე დღეს შემდეგ:

როცა დავბრუნდი, ცენზურის მთავარ-სამმართველოში უფრო ბევრი მტერი დამხვდა ლიტერატურისა, ვიდრე უწინ იყო. კვლავ აპირებენ გვონებ სასტიკის ზომების ხმარებას. მიზეზი ამისი განსაკუთრებით „Русское Слово“-ში დაბეჭდილი წერილია, ანუ, უკეთ გსთქვათ, ის ფრაზა, რომ „გოგოლს საზოგადოება პატივსა სცემდა იმ დრომდე, ვიდრე გუნდრუკის კმევა არ დაუწყო“... ამ ფრაზისათვის სამსახურიდგან დაითხოვეს ცენზორი ვ. გ. იაროსლავცევი და დიდი საყვედური უთხრეს და გააფრთხილეს გამომცემელი ზემოხსენებულის ჟურნალის გრაფი გ. ა. კუშელევ-ბეზბოროდკო...

**

მწერლობის ლიტერატურის ასპარეზზე მოღვაწეთა ცუდი მოხუცება მოელით ხოლმე ყოველთვის: ჰშრომობს ადამიანი კალმით ოც-და-ათს, ორმოც წელიწადს, ჯანსა და ღონეს ალევს ქვეყნის სამსახურს და ხშირად, თითქმის ყოველთვის ისე ედება ბოლო, რომ სუდარის ფასის ოდენი ქონებაც არ გააჩნია სულს აქეთ. ასეთი უბედურები არიან პაწია ქვეყნებში-კი არა, ისეთს დიდს სახელმწიფოში მოღვაწენიც, როგორიც არის, მაგალითებრ, რუსეთი, რომლის მიწა-წყალზედაც ამას წინად სიღარიბისაგან გარდაიცვალა ერთი ნიჭს არ მოკლებული მწერალი, პ. უსპენსკი. ამ სამწუხარო გარემოებას დიდი ხანია სჩიოდა რუსეთის მწერლობა, ზოგი თავ-გამოდებული გაიძახოდა, რომ ამ სატკივარს უნდა ეშველოს რამეო და ვგონებთ შესრულდეს კიდეც ამ კეთილ კაცთა განზრახვა. თავისს დღევანდელს ნომერში გაზ. „Новости“ ამბობს, რომ

მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეთა ცოტად მაინც უზრუნველ-მყოფელობის საქმეს, რომელიც აქამდე მარტო ცალიერ ოცნებობისა და ლაპარაკის მასალა იყო, როგორც ეტყობა ფრთა ესხმის. „მწერალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების“ წესდება არამც თუ დამტკიცებულია მთავრობის მიერ, არამედ შეუძლიან ეხლავე დაიწყოს მოქმედება, პირველი საზოგადო კრება ექმნებათ თუ არა დამფუძნებელ წევრთა და შემწეობის ხელი გაუწოდოს ღარიბ მოძმეთ. ყოველმა წევრმა ამ საზოგადოებისამ წელიწადში ორჯელ უნდა გადაიხადოს 1 მანეთიდგან 50 თუმნამდე. შემდეგის დაგვარად. ოც-და-ხუთის წლის შემდეგ წევრი განთავისუფლდება ამ გარდასახადისაგან და პენსიის მიღების უფლება ექნება. პენსია სულ ახალი, ხამი სიტყვაა ლიტერატურის სარბიელზედ მომქმედისათვის! აქამდე კალმის მუშაკთა შორის მხოლოდ მოხელენი იღებდნენ პენსიას, ლიტერატორი-კი ან კალმით ხელში უნდა მომკვდარიყო და ან სიმშილით, თუ წერას ვეღარ შესძლებდაო.

მართლაც-და, საკვირველია, ღმერთმანი, სამწუხარო რომ არ იყოს, ეს გარემოება: სულ მცირე მოხელეს, ოც-და-ათის, ოც-და-თხუთმეტის წლის სამსახურს შემდეგ, პენსია ეძლევა მოხუცებულობის უზრუნველ-საყოფელად და მწერლობაში მოღვაწეს-კი, რომელსაც ერთი-ათად, ბევრი რომ არა ვსთქვათ, მეტი სარგებლობა მოაქვს და რომლის შრომა ყველასაგან დანახულია, ძვირფასად მიჩნეული, მოკლებულია ამ ნუგეშს. მაგრამ რა, ამას გარდაც ჰამლეტისა არ იყოს, „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნად ისეთი, რომელიც ჯერ თვით მეცნიერებასაც-კი არა აქვს გამორკვეულ-დანახული“...

**

ღამ ცემით მოჰკლეს, რადგანაც ცხრა მანეთი დახარჯა, თითქმის დაკარგა და ორიოდე თვის სარჩო-საცხოვრებელი პური არ იყიდა და არ მოიტანა სახლში. ჩხუბის შემდეგ, გალახული შვილი შეეხვეწა დედას და უთხრა: დედა, ერთი ლუკმა პური გექნება სადმე, მამიტანე, მაჭამე და შიმშილით ნუ მომკლამო. დედამ უარი უთხრა შვილსა და სწორედ ამ დროს ინატრა გულში ყმაწვილმა თბილი რძიან-ერბოიანი პურები, ნაზუქები და წითელი გემრიელი ღვინო. დედას არ მოეშვა, ძალა-უნებურად მიგზავნა პურის კიდობანთან. კიდობანი დედას თბილ-თბილის ნაზუქებით დახვდა სავსე და გაჰკვირდა. წინად თვითონ გაძღა ლამაზად, შემდეგ ბერიკაცი, თავისი ქმარი მოიხმო, ისიც გააძღო და ამის შემდეგ-კი შვილს მიუტანა ორიოდე ლუკმა პურისა. ყმაწვილმა რო ორი ლუკმა პური—ნაზუქი შესჭამა, ღვინოც მოსთხოვა დედასა და გაგზავნა მარანში, სადაც ქვევრები ღვთის განგებით ამსებით ამსებულიყვნენ. დედაბერმა წითელი ღვინო გადაჰკრა და გადაჰკრა, მამა ბერსაც, თავის ქმარსაც ბევრი დაალევინა და ორი ჰიქა ღვინო შვილს მოუტანა, მიაწოდა და ასე უთხრა: აი შვილო, ხომ გაიგე შიმშილი რა ძნელია, წადი, სადაც გინდა, საცხოვრებელი შეიძინე და იცხოვრე, ჩვენი იმედი ნუღარ გექნებაო. შვილი გამოეცალა დედ-მამასა და წავიდა საცხოვრებლის საშოვნელად—საძებნელად.

გაგდებული შვილი გზაში სულ ღარიბს დედ-მამაზედ ჰფიქრობდა და იმის ნატვრაში იყო, რომ მის დედ-მამას გამამცხვარი პური კიდობანში და თეთრ-წითელი ღვინო მარნის ქვევრებში არ გამოლეულიყო. მართლაც იმ დღიდგან, რომელს დღესაც ყმაწვილი მოშორდა სახლს, ამის დედ-მამის ოჯახში პური და ღვინო გამოულეველი იყო...

ყმაწვილმა ერთი მივარდნილი ღარიბი ქვეყანა აირჩია. საცხოვრებელი ნატვრითა და შრომით უმრავლესი შეიძინა და მთელი იმ ქვეყნის ხალხი ყმაწვილის სასახლეში მოდიოდა და ჭკუა და გონებას სწავლობდა იმისაგან. მდიდარის სწავლულის ხმა მთელს სახელმწიფოს მოედო და ასე გასინჯეთ ამის ნატვრის თვალი ხელმწიფესაც შეეხარბა, რომ გაიგო. ამისათვის მოინდომა კიდევაც იმისი დატყუება და კიდევაც მოახერხა. დაიბარა ხელმწიფემ ყმაწვილი და უთხრა: შენი სახელი და ღირსება დიდია ჩემს საბრძანებელში, შეირთე ჩემი ქალი და დამესიძეო. ყმაწვილი ხელმწიფის ბრძანებას უნებურად დასთანხმდა, შეირთო იმისი ქალი; მაგრამ იმ ღამეს, როდესაც ახალი ნაქორწილარნი ერთად იყვნენ ოთახში და ტკბილათ ეძინათ, შეიპარა ხელმწიფე სიძის ოთახში, მივიდა ლოგინთან, მოჰპარა სიძეს ნატვრის თვალი, გამოიტანა გარეთ და ინატრა იმ წუთაშივე შემდეგი: თვალო, შემეწიე, მომეხმარე, რომ მე, ჩემი ცოლი, ჩემი გუშინდელი ჯვარ-დაწერილი ქალი, ჩემი სასახლე საცხოვრებელი ამა და ამ ზღვის იქით იყოსო. ნატვრა ხელმწიფეს, რასაკვირველია, აუსრულდა. ამის სიძე-კი საწყალი მძინარა მარტო დარჩა. გამოიღვიძა, ჯავრობა—ტირილი დაიწყო და სახლში წამოვიდა. მტირალა ყმაწვილი, რომ სახლში მივიდა, კატასა და ერთს ქოფაკს ძაღლს ძრიელ შეეცოდათ, მივიდნენ პატრონთან და ჰკითხეს მიზეზი ტირილისა და წუხილისა. ყმაწვილმა ყველაფერი უამბო თავის შინაურს ოთხფეხს ცხოველებსა. კატამა და ძაღლმა დაიწყეს სიარული და ეძებდნენ გადასახლებულს, ქურდს ხელმწიფესა. სამის წლის შემდეგ იპოვეს ქურდი ხელმწიფე და მოჰპარეს ნატვრის თვალი. ხელმწიფე ნატვრის თვალს ძილის დროს ცხვირში ინახავდა. კატამა და ძაღლმა ეს კარგად გაიგეს კატამ გარედ ვირ-თაგვა დაიჭირა, მოსწყვიტა კუდი და კუდიანათ იმ ოთახში დაიმალა, ტახტ ქვეშ, რომელშიაც ხელმწიფეს ეძინა ხოლმე. დაიძინა რა ხელმწიფემ, მივიდა კატა მძინარესთან და შეუდო ვირ-თაგვას კუდი ცხვირში. ხელმწიფემ ძილში ცხვირს დააცემინა და ამ ნაირად ნატვრის თვალი ცხვირიდგან ლოგინზედ გადმოგორდა. კატამ დაავლო პირი გასტეხა ფანჯრის მინა, გამოვიდა გარეთ, შეჯდა ამხანაგ ძაღლზედ და მოშორდნენ სასახლესა. მაგრამ კატასა და ძაღლს გზაზე ჩხუბი მოუვიდათ: ძაღლი ეუბნებოდა: მომეცი თვალი, მე შევინახავ პირში და მე მიუტან ჩემს პატრონსაო. კატას ძაღლის ჩხუბი არ შეეძლო, ან რომ შესძლებოდა, გაბრაზებული ძაღლი ზღვაში აღარ გამოიყვანდა. მისცა ძაღლსა თვალი, რომელმაც პირში ჩაიდო, შეისვა ზურგზე კატა და შეცურდა ზღვაში მეორე ნაპირას გასასვლელად. ნახევარი გზა რომ გაიარეს, ერთი დიდი თევზი შეეფეთა ძაღლსა და დაჰყეფა. ყეფის დროს თვალი გამოვარდა პირიდგან, თევზმა დაავლო პირი, გადაყლაპა და გასცურდა ელდაზედ წყალში. კატა და ძაღლი ნაჩხუბრები მივიდნენ სახლში. კატამ ყველაფერი უამბო პატრონსა. პატრონმა კიდევ ტირილი და მწუხარება დაიწყო. კატას შეეცოდა კეთილი პატრონი, გამოსთხოვა კარგი მებადური და წავიდა ზღვის ნაპირად იმ თევზის საძებნელად, რომელმაც ნატვრის თვალი მოიტაცა და ზღვაში დამალა. დიაღ, კატა მებადურითურთ წავიდა და ძაღლი-კი თან აღარ წაიყვანა. ბევრის ძებნისა და ბადეობის შემდეგ ის თევზი დაიჭირეს, გააპეს, გამოსწყლეს და მუცლიდგან ამოაცალეს ნატვრის თვალი. მოუტანეს პატრონსა თვალი და პატრონსაც, რასაკვირველია, ძლიერ გაეხარდა...

ყმაწვილმა ინატრა ალმასის თოფ-იარაღი და კარგი რაში. აუსრულდა რა ნატვრა, აისხა თოფ-იარაღი, შეჯდა რაშზედ და წავიდა ქურდ სიმამრთან. მივიდა და ჰკითხა: მე ხომ მიცნობ ვინა ვარო?—„გიცნობო“—უპასუხა ხელმწიფემ. მაშ თუ მიცნობ და ჩემი ამბავი იცი, ვის ეკუთვნის ჩვენგანში უდროოდ სიკვდილი, შენ, თუ მეო.—„მეო“ უპასუხა ხელმწიფემ და სწორედ ამ დროს გააგდებინა თავი ხმლითა თავის ქურდს სიმამრსა, წინანდელი ცოლი-კი ისევ იცოლა და თავის სამშობლოში წამოიყვანა..

კიდევ ერთი ამბავი თ. მეშჩერსკის გოლიათობისა. ამ აჩირებულმა მწერალმა შემდეგის შინაარსის მანიფესტი დაბეჭდა ამ დღეებში თავის გაზეთში:

პირველ დეკემბრიდგან ჩემს გაზეთს გავუგზავნი იმ რუსეთის გუბერნიების წინამძღვართ, რომელნიც არ იწერენ, გავუგზავნი ფანატიკურის აზრით. რისთვისაო? იკითხავთ. რა გითხრათ? იმისთვის, რისთვისაც ოდესღაც თავად-აზნაურობის მტერნი თავის მთავრობის ნება-დაურთველს წერილებს არიგებდნენ აქეთ-იქით და ავრცელებდნენ—პოლიტიკურის აზრით.

ნუ თუ არც ეს საშუალება გაამხურვალებს გულგრილს მკითხველებს? თ. მეშჩერსკი თავის „Гражданинъ“-ითურთ იმდენად უყურადღებოდ არის დატოვებული რუსეთის გაზეთის მკითხველ საზოგადოებისაგან, რომ თავად-აზნაურობის მტერთაც-კი ჰბაძავს, არა-მკითხეობას არ ერიდება და ძალის-ძალათი ხელში აჩეჩებს იმათაც-კი თავის გაზეთს, რომელთაც არად ეჭაშნიკებათ ფულის გადახდა ამ აბდა-უბდა და წაღმა-უკუღმად დაბეჭდილ გაზეთის გამოწერისათვის. ფულს-კი არ იხდიან, მაგრამ ძნელად თუ ეხლა მაინც მოულბათ გული და თვალი გადაავლეს უფულოდ მიღებულსა და ძალად ხელში ჩაჩეჩებულს გაზეთს!..

## რუსეთი

ტყეების შენახვა და დაცვა განადგურებისაგან თან და თან უფრო და უფრო საჭირბოროტო საგნად ხდება რუსეთის მწერლობისა და მთავრობისათვის. მართლაც ცუდი საქმე ემართება რუსეთის ტყეებს. მრავალს ადგილას, სადაც უწინ მშვენიერი სახეტყეო ქალა-ტყეები იყო, ეხლა უბრალო ბუჩქნარი ან ცალიერი მოტიტვლებული მინდვრები-ღაა დარჩენილი. ერთის მხრით უსაბედი თუ ბოროტ-განზრახული ცეცხლის წაკიდება და მეორეს მხრით თვით კაცის ხელი უმოწყალოდ ანადგურებს ტყეებს. ბევრგან ან თითო-ოროლა ხე და ან კიდევ გამხმარი კუნძები-ღა ხირია მოწმად, რომ აქ ოდესღაც ტყე იყოვო. თუმცა კანონი გამოცემულია ტყეების დაცვისათვის, მაგრამ ის კანონი ჯერ ერთი ყველგან არ არის შემოღებული და მეორეც, თუნდაც რომ შემოღებული იყოს, მაინც კიდევ არ ძალ-ედვება წინააღმდეგობა გაუწიოს და შეაყენოს ამ გვარად გამძვინვარებული ტყეების შემუსრავი ძალა, ხოლო ტყეების დაცვა-შენახვა-კი აუცილებლად საჭიროა ყოველის ქვეყნისთვის. ტყის მოსპობა და განადგურება უცუდ-შედეგოდ არ ჩაივლის ქვეყნის მეურნეობისათვის და ასე გასინჯეთ ჰავა-ჰაერზედაც იქონიებს ხოლმე გავლენას. ყველაზე მოშეტებულს ტყეს ჯერ ქარხნები აწყობს და ამათ შემდეგ რკინის გზები. ურალის მთების კალთები და ფერდობები ქარხნების მახლობლად სულ ერთიან გადაკაფულია. ბევრმა ქარხანამ შეამცირა თავისი წარმოება, რადგან შეშის მოტანა უჭირდება და ძვირად უჯდება. ამის გამო რომ შეშის მაგიერ საწვავად მადნეულობა უნდა იხმარონ შემდეგში, ეს ეხლავე იციან და საქმე მხოლოდ ადრე-გვიანობაზე-ღაა დამოკიდებული. ქარხნებს შემდეგ ტყის დიდი გამანადგურებელი რკინის გზებია, რომელიც აუარებელს შეშასა სწვავს ყოველ წლივ. მისთვის შეშის მაგიერ ნავთის ან ქვის ნახშირის შემოღება საწვავად ძლიერ ადვილად მოსახერხებელი საქმეა და თუ ასე მოხდა, ტყეებიც შეინახება და ქვეყანასაც დიდი სარგებლობა მიეცემა. მაგრამ ჯერ-ჯერობით შეშის შოვნა რკინის გზებს არ უჭირდება და ამიტომ ისინი ჯერ-ხანობით თავსაც არ დაანებებენ შეშის ხმარებას ვიდრე ან შოვნა არ გაუჭირდებათ და ან ძალად არავინ აუკრძალავს. მთავრობამ კარგად შეიგნო ეს გარემოება და თვითონ მოიწადინა საქმეში ჩარევა. ამ ჟამად სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უკვე შემუშავებული აქვს პროექტი, რომ რკინის გზებს აეკრძალოს ორთქლ-მავალების ხურება შეშით და ვაგონებისა და სადგურების გათბობა. პროექტი წარადგინეს კიდეც სახელმწიფო საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად. მართალია ბევრს ტყის პატრონსა და მემამულეს შეავიწროებს ამ კანონის შემოღება, მაგრამ საზოგადოდ ქვეყანას, მთელს რუსეთს-კი დიდს სარგებლობას მოუტანს.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოიწერა ამერიკიდგან ახალი შესანიშნავი მცენარე „იდაგო“, რომელიც ძლიერ დიდსა, მშვენიერის გემოსა და თვალისთვის სანახავადაც-კი კარგს ნაყოფს იღებს. თვით ამერიკაშიც დიდი ამბავი მოახდინა ამ მცენარემ. პეტერბურგში სულ 30 სანამყენო მიიღეს „იდაგოსი“. ხუთი თვით პეტერბურგში დაიჭირეს და დანარჩენი რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში გაჰგზავნეს სახელმწიფო ხეხილის ბაღებში დასარგავად და სამყნობად.

## წვრილი ამბები

ჩინეთში დაიბადება თუ არა ბავშვი, ოთხს კვირას შემდეგ თავი უნდა მოჰპარსონ და პირველი სახელიც მაშინ დაარქვან. ეს სახელი სულ უბრალო სახელია და ზოგჯერ მხოლოდ იმასა ნიშნავს, მეამდენე და მეამდენე შვილიაო. როცა უმაწვილს დრო მოუვა და სასწავლებელში მიაბარებენ, ეს სახელი გამოეცვლება და სხვა დაერქმევა იმის დაგვარად, თუ რა ნიჭის პატრონი გამოდგება და ან რომლის საგნის შესწავლა უფრო უადვილდება, მაგალითად: „მომავალი მოღვაწე“, „მშვენიერი ხელი“, „კარგი მხატვარი“ და სხვ. ქალები მხოლოდ პირველს სახელს ატარებენ: „ყვავილი“, „ფირუზის თვალი“ და სხვა ამ გვარს, ხოლო როცა გათხოვდებიან, მაშინ უნდა ქალებმაც გამოიცვალონ სახელი, თუმცა ისევ იმ ნაირსავე სახელებს-კი ირქმევენ: „ნარგიზის ყვავილი“, „ბრწყინვალე მთვარე“, „პეპელა“ და სხვ. მაგრამ ლაპარაკის დროს-კი ქმრის სახელით უნდა მოიხსენონ. კაცი რომ ცოლს შეირთავს, მესამე სახელს მაშინ ირქმევს და სიკვდილამდის ის სახელი უნდა ატაროს, თუ სახელმწიფო სამსახურში არ მოუხდა შესვლა და კიდევ იქ არ გამოიცვალა სახელი. სულ უკანასკნელად სახელი მაშინ ეცვლება, როცა კაცი კვდება. გვარი ერთიანად და ყოველთვის სახელის წინ ითქმის ხოლმე.

— ქალაქ გოტას სასამართლომ ამ მოკლე ხანში ერთი ახირებული საკითხავი უნდა გადასწყვიტოს, სახელდობრ ისა, შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოს, თუ არა, თუ ქალმა კაცს იმის დაუკითხავად და ნება დაურთველად აკოცა. ამ გვარი საჩივარი გოტას მცხოვრებელმა შეიტანა სასამართლოში. ლუდხანაში მოსამსახურე ქალს უკოცნია მისთვის და თუმცა თითონ დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის, მაგრამ ცოლს ძალა დაუტანებია, უთუოდ უჩივლე, ეგ შეურაცხება არისო.

— ფრეიფერგის (საქსონიაშია) სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ერთს ქალს პოლინა ვაგნერს, რომელმაც რამდენისამე წლის განმავლობაში თავისი ექვსი შვილი მოსწამლა და წუთის სოფელს გამოასალმა.

— მოდისათვისაც საჭირო გამხდარა კოხის სახელი. დრეზდენში პაპიროსებს ჰყიდიან თურმე შემდეგის წარწერით: „კოხის პაპიროსები“. აგრეთვე რომელსაც ქარხანას თავის შოკოლადისთვის შემდეგი დაუწერია: „კოხის ლიმფა“— „საათში თითო ნაჭერი მიირთვით“.

— შტუტგარტში ერთი წიგნაკი დაბეჭდეს გერმანიის ჯარში თავის კვლის გავრცელების შესახებ. ყოველს 100 გარდაცვალებულს ჯარის კაცზე, სწერია წიგნაკში, 22 თავის მკვლელი მოდისო.

## დეპეშა

8 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება პრინც ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელის დანიშვნისა მზრუნველად დაარსებულის საიმპერატორო საექსპერიმენტო მედიცინის ინსტიტუტისა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბერი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაიყიდნენ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | $140^{3}/_{4}$ | | $141^{1}/_{4}$ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 97 | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — | „ | — | „ | 239 | |
| —მეორისა . . . . | 217 | | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — | „ | — | „ | 212 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | |

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემის ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი

და

ხატვის ნიმუშები

შედ. ს. დათეშიძისაგან.

ფასი ხუთი შაური

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა სარატოვში.

1891 წლის სეზონი.

გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი, ესრედ წოდებული

ს ა რ პ ი ნ კ ა,

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—3

გამგეობა

ნიკოლსკის სამანუფაქტურო ამხანაგობისა

„საბა მოროზოვის, შვილი და ამხ.“

აუწყებს ბ-ნთ მყიდველთ, რომ იმის სავაჭრო საწყობი რომელიც ქალაქ ბაქოშია წყლისპირის ქუჩაზე, კრასილნიკოვის სახლში, 1 იანვრიდგან პოლიციის ქუჩაზე გადავა მაკარ ივანეს ძის ერმილოვის სახლში და სთხოვს იქ მიჰმართონ ხოლმე ამხანაგობის ნაწარმოების მისაღებად. (4—2)

„დასავლეთი“

ახალი რესტორანი, კვრაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვეიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—10)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

[illegible] ценз. Тифлисъ, 8-го Декабря 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე